ელდარ მამისთვალიშვილი

ვინ იყვნენ XVII-XVIII საუკუნეთა საქართველოში კათოლიკენი?

წინამდებარე სტატიის მიზანია, გაირკვეს კათოლიკური მისიონერების საქართველოში მოღვაწეობის არსი და მართლმადიდებლური ქართული ეკლესიის, ხელისუფალთა და რიგითი მართლმადიდებლების მისადმი დამოკიდებულება. სტატიაში განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება იმის დადგენაზე, ვინ იყვნენ კათოლიკენი ეთნიკურად XVII-XVIII საუკუნეთა საქართველოში.

სახელგანთქმულმა საეკლესიო და საზოგადო მოღვაწემ, დიდმა პატრიოტმა მიქელ თამარაშვილმა უზარმაზარი შრომა გასწია და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის არქივებსა და წიგნსაცავებში მოიძია მასალები XIII-XIX საუკუნეთა საქართველოს საგარეო ურთიერთობების, ეკლესიის და კულტურის ისტორიისათვის.[1] მისი უმთავრესი მიზანი იყო ეჩვენებინა კათოლიკური მისიების საქმიანობა და კათოლიკობის გავრცელების დონე, დაემტკიცებინა ეთნიკური ქართველი კათოლიკეების არსებობა და მათი წამყვანი როლი საქართველოში. მ. თამარაშვილის მიერ მოძიებულ მასალებს წითელ ხაზად გასდევს საქართველოში მცხოვრები ანტიკათოლიკურად განწყობილი სომხების ბრძოლა ამ აღმსარებლობის წინააღმდეგ.

ასევე ჩნდება კითხვა: ვინ იყვნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში მოღვაწე ის სომხები, რომლებიც, როგორც XVII-XVIII საუკუნეების კათოლიკე მისიონერების კორესპონდეციებიდან და დოკუმენტებიდან ჩანს, მუდამ უთვალთვალებდნენ მათ და ხელსაყრელ მომენტს არ გაუშვებდნენ, რომ კათოლიკეებისათვის რაიმე ზიანი მიეყენებინათ. გრიგორიანელი და მართლმადიდებელი სომხები განსაკუთრებით დევნიდნენ იმ თანატომელ პროზელიტებს, რომლებმაც კათოლიკობა აღიარეს. ისინი ქართველ მართლმადიდებელ ან მუს-

1 თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ. 1902 (რეპრინტი, 2011); მისივე: პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას, თბილისი, 1904 (რეპრინტი, 2008); მისივე: ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რადაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბ. 1995.

ლიმან მეფეებთან ხშირად უჩიოდნენ მისიონერებს თავიანთი ყოფილი ერთმორწმუნეების კათოლიკობაზე გადაყვანის გამო, მისიონერები კი იმავე მეფეებთან სომხების თავდასხმებისაგან დაცვას მოითხოვდნენ. მეფეები, პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით, გამოდიოდნენ დაპირისპირებულთა მომრიგებლებად, კათოლიკეთა დამცველებად ან იმავე კათოლიკეების მოწინააღმდეგეებად. დაპირისპირებულთა შორის იშვიათად ჩანდნენ ქართველები. ისინი ნაკლებად მონაწილეობდნენ ანტიკათოლიკურ ექსცესებში, რადგან მათი მამაპაპური სარწმუნეობა არ ილახებოდა. ისინი უმეტესწილად მაყურებლები იყვნენ, რაც აღნიშნულია მაშინდელ წერილობით წყროებში. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგან მ. თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტებითა და მკვლევართა მიერ მათი ინტერპრეტაციის შედეგად ისეთი სურათი იხატება, თითქოს გრიგორიანი და მართლმადიდებელი სომხები დევნიდნენ ქართველ კათოლიკეებს, ქართველები კი მუდამ მზად იყვნენ კათოლიკობას მიმხრობოდნენ და ეს რწმენა ეღიარებინათ, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. საკითხის გარკვევაში გვეხმარება რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ მაღალი რანგის რუსი მოხელეების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები.

* * *

რუსი მოხელეების მიერ შექმნილი დოკუმენტები შეიცავს ფრიად საყურადღებო ცნობებს XIX ს. დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში კათოლიკეთა რაოდენობისა და მათი ეთნიკური კუთვნილების შესახებ. XVII-XVIII საუკუნეების დოკუმენტური და ნარატიული მასალები, შექმნილი ძირითადად კათოლიკე მისიონერების მიერ, აღნიშნულ საკითხებზე არა მხოლოდ მრავალ კითხვას, არამედ გაუგებრობასაც იწვევს.

რუსული მმართველობის შემოღებისთანავე საიმპერატორო კარისა და კავკასიის მმართველთა ყურადღება მიიპყრო კათოლიკური ეკლესიისა და მისი მრევლის მდგომარეობამ აღმოსავლეთ საქართველოში.

რუსეთი ცნობილი იყო კათოლიციზმისადმი შეუწყნარებლობით. XVIII ს. 70-იან წლებამდე რუსეთში კათოლიკური ეკლესიის თავისუფლი საქმიანობა აკრძალურლი იყო.[2] რეჩ პოსპოლიტას დანაწილების

2 Задворный В., Юдин А., История Католической Церкви в России. Краткий очерк, Москва, 1995; ЧаплицкийБ., История Католической Церкви в России. Москва, 2002; Тамбора А., Католическая церковь и русское православие. Два века противостояния и диалога. Пер. с итальянского Серия «Диалог», Москва, 2007; Козлов-Струтинский С., Парфентьев П., История католической церкви в России, Санкт-Петербург, 2014.

შემდეგ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა ლათინური წესის მრავალრიცხოვანი კათოლიკე მოსახლეობა, რამაც ხელისუფლება აიძულა, უფრო მოქნილად მისდგომოდა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები კათოლიკე მისიონერებისა და ამ აღმსარებლობის მიმდევარი ქვეშევრდომების საკითხს.

იმპერიის ტერიტორიაზე კათოლიკური ეკლესიის დამორჩილებისა და მასზე კონტროლის განხორციელების მიზნით, 1773 წელს ლათინური წესის კათოლიკეებისათვის (იყვნენ ბერძნული წესის კათოლიკეებიც – უნიატები) შეიქმნა მოგილევის ეპარქია, რომელიც 1782 წელს გარდაიქმნა არქიეპარქიად. პირველი არქიეპისკოპოსი იყო ს. ბოგუშ სესტრენცევიჩი.[3] რამდენადაც მოგილევის არქიეპარქია შეიქმნა რომთან შეთანხმების გარეშე, წმინდა ტახტმა სანქტ-პეტერბურგში გაგზავნა სპეციალური წარმომადგენელი. მოლაპარაკება დასრულდა ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილებით.

იმპერატორ პავლე I-ის დროს შეიქმნა განსაკუთრებული მოგილევის სამიტროპოლიტო, რომლის შემადგენლობაში შევიდა მოგილევის საარქიეპისკოპოსო და ხუთი საეპისკოპოსო. მიტროპოლიტის რეზიდენცია გადაიტანეს სანქტ-პეტერბურგში, მაგრამ სამიტროპოლიტოს ძველი სახელი შერჩა.

საიმპერატორო კარმა, ჯერ კიდევ აღმოსავლეთ საქართველოს იმპერიის გუბერნიად გადაქცევამდე, განიზრახა საქართველოში მცხოვრები კათოლიკენი და პატრები მოგილევის სამიტროპოლიტოს დამორჩილებოდა.

ქართ-კახეთის მეფე გიორგი XII-ის გარდაცვალებისა და მისი უფროსი ვაჟის, დავითის მემკვიდრედ გამოცხადების ცნობამ მისიონერებს იმედი გაუღვიძა (გიორგი ცნობილი იყო თავისი ანტიკათოლიკური განწყობილებით), რომ რუსეთის საიმპერატორო კარის შეწევნით დაიბრუნებდნენ ერეკლე II-ის მიერ ჩამორთმეულ კათოლიკურ ეკლესიებსა და სხვა ქონებას.

1800 წლის 14 თებერვალს უფროსმა პატრმა ფრანჩესკე პადუელმა გორიდან რომში გაგზავნა წერილი, რომელშიც ქართლ-კახეთის სამეფოში მომხდარ პოლიტიკურ სიახლეებთან ერთად აღნიშნული იყო: „მასთანვე საზოგადოდ ხმა გავრცელდა, რომ რუსეთი შეიქმნა პატრონი ამ სამეფოსი. ჩვენც სხვებსავით იმედი გვაქვს, ვიცხოვროთ უფრო ბედნიერად. თქვენო უმაღლესობავ, როგორც წინეთაც მოგწერეთ, ეს კაი დროა, რომ სცადოთ, ***იქმნება რუსეთის საშუალებით დავიბრუ-***

3 Станислав Козлов-Струтинский, Павел Парфентьев. Российское латинское католичество: от Петра I до Екатерины II. История Католической Церкви в России. Санкт-Петербург, Белый камень, 2014.

ნოთ ჩვენი ეკკლესიები და სახლები ტფილისსა და გორში. ამას თუ წმიდა კრება არ ეცადა, ჩვენ რისი ქმნა შეგვიძლია? თორემ იძულებული ვართ გთხოვოთ, სხვა ჩვენს მოსაცემ შემწეობას მიუმატოთ წლიურად ასი პიასტრი, რომელსაც ვიხდით ჩვენს სადგომ სახლსა და ეკკლესიაში.

ამ სამთავროს (ქართლ-კახეთის სამეფო – ე. მ.) ესეთი ცვლილების გამო, შეიძლება რუსეთიდგან ჩვენც მოგვივიდეს რომელიმე ბრძანება, როგორც წინეთ ჩემი აქ ყოფნის დროს მოდიოდა. თუ რამე მოგვივიდა, იმედი მაქვს ჩვენი მისიონის სასარგებლოდ იქმნეს."[4]

იმავე ფრანჩესკე პადოელმა 1800 წლის 4 აგვისტოს თბილისიდან რომში გაგზავნილი წერილით პროპაგანდა ფიდეს აცნობა იმ გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ, რომელშიც თბილისის მისიონი აღა მაჰმად-ხანის მიერ დამწვარ ამ ქალაქში აღმოჩნდა.[5]

1800 წლის 25 ოქტომბერს პროპაგანდამ კონსტანტინოპოლში მყოფ რუსეთის ელჩს დაავალა, ეშუამდგომლა თავისი მთავრობის წინაშე ეკლესიის დაბრუნების თაობაზე. ელჩმა თხოვნა მაშინვე პეტერბურგში გაგზავნა. იმავე წლის 3 ოქტომბერს პროპაგანდამ თავის წარმომადგენელს პეტერბურგში აბატ ბენვენუტის დაავალა, შეხვედროდა და მოლაპარაკებოდა მინისტრს. პროპაგანდა ფიდეს აქტიურობამ შედეგი გამოიღო. იმპერატორმა გამოსცა უმაღლესი ბრძანება, კაპუცინებისათვის დაებრუნებინათ თავიანთი ეკლესიები და სახლები საქართველოში. 1 იანვარს ეს ბრძანება გადაეცა რუსეთის ჯარების მთავარსარდალს კავკასიაში, გენერალ-ლეიტენანტ კარლ თედორეს ძე კნორინგს.[6] 1801 წლის 3 ოქტომბერს პროპაგანდამ თავის ნუნციოს, რუფოსაც დაავალა ავსტრიის მთავრობისათვის ეთხოვა, რათა მას რუსეთის მთავრობის წინაშე ეშუამდგომლა საქართველოში არსებული ყოფილი კათოლიკური ეკლესიების მორწმუნეთათვის დაბრუნების თაობაზე. როგორც მაშინდელი მიწერ-მოწერიდან ჩანს, საიმპერატორო კარს პირველ ხანებში მართლაც განზრახული ჰქონდა თბილისსა და გორში ჩამორთმეული ეკლესიები და სახლები პატრებისათვის დაებრუნებინა. აქვე უნდა ითქვას, რომ იმპერიის ტერიტორიაზე მყოფი კათილიკე პატრების მიმართ მთავრობას თავისი გეგმა ჰქონდა, რომელიც ითვალისწინებდა მათ დაქვემდებარებას იმპერიის სასულიერო ხელისუფლებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს საზღვრებიდან გაასახლებდნენ. რუსეთის ხელისუფლების

4 თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, გვ. 483-484.

5 იქვე, გვ. 484.

6 თამარაშვილი მ. პასუხად სომხის მწერლებს, გვ. 144-145.

ასეთი განწყობილება ჩანს ამ პერიოდის რომისა და პეტერბურგის დიპლომატიური ურთიერთობის ამსახველ რუსულ დოკუმენტებში.

ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი, ვიცე-კანცლერი ალექსანდრე კურაკინი, 1801 წლის 22 ნოემბერს პეტერბურგიდან საქართველოში კნორინგს აცნობებდა: „ამ [წერილზე] დართულ რომის პაპის სიგელს საქართველოში მისი მისიონერის პატრ კაპუცინის, რუტილიანოს[7] გაწვევის შესახებ. გიგზავნით მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანებას თქვენი აღმატებულების მიერ აღსასრულებლად, რაც [ბრძანება] მოჰყვა რომის პაპის რწმუნებულის კომანდორ ბენვენუტის თხოვნას. თქვენ უნდა კეთილინებოთ და [წერილი] გადასცეთ ხსენებულ კაპუცინს, რუტილიანოს. თუ თქვენ შეამჩნევთ, რომ იგი რაიმე საბაბით აყოვნებს საქართველოდან გამგზავრებას, ზემოხსენებული რწმუნებული [პაპის] სახელით ითხოვს, რომ თქვენმა აღმატებულებამ, როგორც მაგ მხარის [საქართველოს] მთავარმა მეთაურმა, ის რომში დასაბრუნებლად გაასახლოთ. რაც მოჰყვება თქვენ მიერ კაპუცინ რუტილიანოსთვის წერილის გადაცემას, ასევე მისი საქართველოდან გამგზავრების შესახებ [ბრძანებას], უმორჩილესად გთხოვთ, დაუყოვნებლივ მაცნობოთ."[8]

იმავე დროით დათარიღებული მეორე წერილიდან ირკვევა, რომ რომის პაპის წარმომადგენელმა რუსეთის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელშიც იყო მოთხოვნა საქართველოში მცხოვრები კათოლიკეებისათვის მათი კუთვნილი საეკლესიო ქონების დაბრუნების შესახებ. რომის პაპის მოთხოვნის საპასუხოდ იმპერატორმა ბრძანა, რომ კურაკინს კნორინგისათვის დაევალებინა გამოძიება, თუ რა მიზეზით და რა ვითარებაში ჩამოართვეს კათოლიკეებს ეკლესიები და აგრეთვე დაედგინა კათოლიკეთა რაოდენობა საქართველოში. ალ. კურაკინი კ. კნორინგს სწერდა: „[რუსეთის] უმაღლეს კარზე მყოფმა პაპის რწმუნებულმა კომანდორმა ბენვენუტიმ წარადგინა ნოტა იმის ასახსნელად, რომ საქართველოს მოსახლეობაში იმყოფება ***კათოლიკეების რაღაც რაოდენობა, რომლებსაც იქ, სახელდობრ, თბილისსა და გორში ჰქონდათ რამდენიმე ეკლესია და სახლი. საქართველოში სამხედრო არეულობის დროს მათ ისინი დაკარგეს.***[9] ***[ბენვენუტიმ] მათი საკუთრების დაბრუნება მოითხოვა. ხელმწიფე იმპერატორმა გულმოწყალება გა-***

7 რუტილიანოს შესახებ იხ. პაპაშვილი მ. პატრი ნიკოლა და რუტილიანო ქართული დიპლომატიის სამსახურში. საქართველოს მეცნ. აკადემია, სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალი. წელიწდეული, I, თბ., 2005, გვ. 71-76.

8 Акты собранные Кавказскою Археологичекою коммиссиею, Тифлис, I, 1866, с. 550, №689

9 იგულისხმება აღა მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრება.

მოიჩინა და მიბრძანა თქვენს უმაღლესობას ვაცნობო, რომ ხსენებული ეკლესიები და სახლები ძველებურად საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეებს გადაეცეთ. ვიმედოვნებ, რომ წინასწარ მოიძიებთ სანდო ცნობებს, როგორც [ეკლესიებისა და სახლების] მათდამი კუთვნილების შესახებ, ასევე ნამდვილ მიზეზებს, რომლითაც მათ ისინი ჩამოართვეს. დამატებით გთხოვთ, თქვენო უმაღლესობავ, მომაწოდოთ ცნობები საქართველოში მცხოვრები კათოლიკეების რაოდენობის შესახებ, რომელ წოდებას განეკუთვნებიან ისინი და რა იყო მათი მაგ მხარეში დასახლების მიზეზი და დასაწყისი?"[10]

1801 წლის 22 დეკემბერს გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს გენერალ-მაიორ ივანე პეტრეს ძე ლაზარევისათვის დაუვალებია იმპერატორის ბრძანების თანახმად შეეკრიბა ცნობები საქართველოში კათოლიკეთა რაოდენობისა და მათი საეკლესიო ქონების შესახებ. გაირკვა, რომ საქართველოში იყო ორი კათოლიკური ეკლესია – ერთი თბილისში, ერთი გორში. ისინი ადრე, 1735 წელს, კათოლიკეების კუთვნილ მიწაზე აუშენებიათ პატრებს – ნიკოლოზსა და პერესლანს (?). იმის გამო, რომ საქართველოს პატრიარქმა ანტონ I-მა განიზრახა კათოლიკობის მიღება, განრისხებულმა მეფე თეიმურაზ I-მა კათოლიკეებს ჩამოართვა დასახელებული ეკლესიები, თუმცა მას შემდეგ რამდენჯერმე დაპირდნენ, რომ დაუბრუნებდნენ, მაგრამ დღესაც კი ისინი რელიგიურ მსახურებას კერძო სახლებში ატარებენ. იმავე მოხსენებაში ნათქვამი იყო, აგრეთვე, რომ „პატრების გამოანგარიშებით საქართველოში 500 კათოლიკე იყო – 300 თბილისში, 200 გორში; ამას გარდა, მეზობელ სოფლებშიც იყო კათოლიკეების რამდენიმე ოჯახი, მაგრამ სულთა რაოდენობა ცნობილი არ არის. ***აქ [საქართველოში] მცხოვრები კათოლიკეების უმრავლესობა სომხები არიან, რომლებმაც პატრების საქართველოში მოსვლის შემდეგ (რაც მოხდა 200 წლის წინათ) მიიღეს კათოლიკური აღმსარებლობის რწმენა. მეორე ნაწილი კათოლიკეებისა და სომხებისა გამოსულნი არიან თურქეთიდან და აქ დასახლებულნი, რომელთაგან უკანასკნელებმა მიიღეს კათოლიკური აღმსარებლობის სარწმუნოება".***

ლაზარევი კნორინგს აცნობებდა, რომ კაპუცინ რუტილიანოს გადასცა ვიცე-კანცლერ კურაკინის წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მას დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა საქართველო. კაპუცინი უხალისოდ შეუდგა გასამგზავრებლად სამზადისს.[11]

პატრი ფრანჩესკე ანტონ პატოელი 1802 წლის 7 იანვარს რომში კარდინალს სწერდა: „თქვენო უმაღლესობავ, თქვენი უპატიოსნესი

10 Акты собранные Кавказскою Археологичекою коммиссиею, I, с. 550, №690.
11 Тамже, с. 550-551, №691.

წერილი მივიღე გასულ იანვარში... დიდი სიამოვნებით ამოვიკითხე, რომ იმედია ჩვენის ეკლესიების დაბრუნებისა. ერთი თვეა, რაც ამ დაბრუნების შესახებ აქ მოვიდა ბრძანება მათი ხელმწიფების სრულიად რუსეთის იმპერატორისა, რუსეთში მყოფ ამ განყოფილების ინსპექტორს საქართველოს მთავარ-მართებლისათვის მოუწერია, რომ თებერვლის დამლევს მოვა და თვით ინებებს, რაც კი ჩვენ გვეკუთვნის ჩაგვაბაროს, ხოლო ვეჭობ, ამბობენ, ქართველებს ინსპექტორისათვის საჩუქრად უკვე გაუგზავნიათ ორი ათასი პიასტრი, რათა ეკკლესიები არ დაგვიბრუნოსო. ამისთვის ზოგი შიშობს და ზოგსაც იმედი აქვს და მოელის. გარნა მე მგონია, რომ ვერაფერს გახდენ..."[12] ამგვარი განწყობილებიდან გამომდინარე იყო, რომ 1802 წლის 5 ივლისს რომში გაგზავნილი წერილით უფროსი პატრი ევროპაში მოკრეფილი მოწყალებიდან იმდენი ფულის გაგზავნას ითხოვდა, რომლითაც თბილისსა და გორში ახალი ეკლესიების აშენება მოხერხდებოდა.[13]

კათოლიკეთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც 1802 წელს საქართველოს მთავარმმართებლად და ასტრახანის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი (ციციშვილი).

„თავად ციციანოვის ყოვლად უქვეშევრდომილესი მოხსენება [იმპერატორს]. 12 ივნისი 1803 წელი, №54.

საქართველოში მყოფმა რომაელ-კათოლიკე მისიონერმა წარმომიდგინა ყოვლად უქვეშევრდომილესი თხოვნა თქვენი იმპერატორობით უდიდებულესობის უმაღლეს სახელზე... ჩემი წინამორბედი [კნორინგის] საქმიანობიდან ჩანს, რომ მისიონერების ასეთივე თხოვნას შედეგად მოჰყვა თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის ყოვლადმოწყალე კეთილგანწყობილება. 1802 წლის 27 თებერვალს გენ-ლეიტ კნორინგს აცნობეს [კათოლიკეთა] ეკლესიის დაბრუნების თხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, ნება მიეცა ყოველგვარი უსიამოვნო შედეგების გარეშე [თხოვნის] ადგილზე განხილვისა. ჩემმა წინამორბედმა [კნორინგმა] ვიცე-კანცლერ თავად კურაკინს 1802 წლის 22 ივლისს წარუდგინა ორი კათოლიკური ეკლესიის დაბრუნების შეუძლებლობის მიზეზი. ისინი დიდი ხანია გადაკეთებულია მართლმადიდებლურ ტაძრებად, რასაც მოჰყვა თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის 1802 წლის 24 ივლისის უმაღლესი ბრძანება გადაცემული [კნორინგს] ვიცე-კანცლერ კურაკინის საშუალებით და ხსენებული ეკლესიები დატოვილ იქნა დღევანდელ მდგომარეობაში. მაგრამ [გასათვალისწინებელია, რომ] მისიონერების საქართველოში

12 თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 485.
13 იქვე, გვ. 486.

ყოფნამ გამოიწვია სომხების საგრძნობი ხარისხით განათლება, ***რომლებიც რომაულ-კათოლოკურ რწმენაზე მოაქციეს დიდი ხნის წინათ [ქართველი] მეფეების ნებართვით.*** იმავე დროს პატივს მივაგებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოში თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის ჯარში 1000-მდე რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის კაცი იმყოფება. ჩემ მოვალეობად მიმაჩნია უქვეშევრდომილესად მოგახსენოთ თქვენო იმპერატორობის უდიდებულესობავ, რომ ***ადრინდელი [კათოლიკური] ეკლესიების მათთვის დაბრუნებას თან ახლავს დიდი დაბრკოლებები და შეუძლებელიც კი არის ჩემი წინამორბედის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური მიზეზების გამო, რაშიც დავრწმუნდი [საქართველოს] კათალიკოსისა და სხვა საპატიო სასულიერო პირთა გამოკითხვის შემდეგ.*** მაგრამ მისიონერების საბრალო მდგომარეობა იმსახურებს თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის გულმოწყალე თვალსაზრისს და დაჯილდოებას ყოვლადმოწყალე საშუალებებით. ასეთად მიმაჩნია თბილისში შესაფერის ადგილას სახაზინო მიწის ყოვლადმოწყალედ ჩუქება ეკლესიის ასაშენებლად და შენობისათვის სხვა საჭირო ნაგებობისა და... [გთხოვთ] გამოუყოთ გარკვეული თანხა საქართველოში მათი ყოფნის განსამტკიცებლად. გავკადნიერდები და დავამატებ, რომ აქ ყოფნა ხსენებული მისიონერებისა, რომლებიც განეკუთვნებიან რომის პროპაგანდას, მრავალი მოსაზრებით ძლიერ სასარგებლოა, როდესაც ისინი უშუალოდ დამოკიდებულნი გახდებიან რუსეთის იმპერიაში განსაკუთრებულ საფუძველზე დაარსებულ სასულიერო რომაულ-კათოლიკურ მმართველობაზე, რასაც ისინი თავისი მხრიდან არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ და მზად არიან, შეასრულონ რუსეთის სასულიერო მმართველობის განაწესი, ჩამოშორდნენ რომს და ადრინდელ შემზღუდველ ვალდებულებებსა და პროპაგანდას. მათი ღარიბული ცხოვრების მოწესრიგებისა და უზრუნველყოფის შემდეგ, ვიმედოვნებ რწმენის შემწყნარებლობაზე დამყარებული რუსეთის მმართველობის სისტემისათვის მიუღებელი არ იქნება, მათ მიეცეთ ნება, იქადაგონ და ქრისტიანობაზე მოაქციონ საქართველოს მეზობელი მაჰმადიანები და კერპთთაყვანისმცემელნი, რაშიც ეს განსწავლული სამაგალითო ქცევის მისიონერები უეჭველია მიაღწევენ მეტ წარმატებას, ვიდრე რუსი და ქართველი მქადაგებლები, რომლებიც წარმატებისაკენ არ მიისწრაფიან და აქამომდე მთიელებთან [ქადაგებაში] მცირე წარმატება აქვთ."[14]

14 Акты собранные Кавказскою Археологичекою коммиссиею, II, Тифлис, 1868, с. 280-281, №549

წერილიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თბილისსა და გორში მცხოვრები კათოლიკეები, როგორც დამოწმებულ დოკუმენტებში ხაზგასმითაა აღნიშნული, სომხები იყვნენ.

როგორც წერილიდან ჩანს, იმისათვის, რათა იმპერატორის ბრძანებას, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მიერ კათოლიკეებისათვის დიდი ხნის წინათ ჩამორთმეული და მართლმადიდებლურ წესზე გადაკეთებული გორისა და თბილისის ეკლესიების დაბრუნებას მართლმადიდებელი ქართველების უკმაყოფილება არ გამოეწვია, პავლე ციციანოვმა უაღრესად საინტერესო გეგმა შეიმუშავა, საიდანაც ჩანს, რომ კნორინგისა და ციციანოვის კათოლიკეების საკითხისადმი მიდგომა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. კნორინგს მათდამი შეურიგებელი პოზიცია ეკავა, რომელიც, საფიქრებელია, მას ჩამოუყალიბდა ჯერ კიდევ ქართლ-კახეთის სამეფო კართან ურთიერთობის დროიდან. 1784 წელს გიორგი ბატონიშვილმა კაპუცინელ პატრს ანდრია პოლერმელს პირდაპირ უთხრა: რადგან ეკლესიები უკვე მართლმადიდებლურად არის ნაკურთხი, მათ ვეღარ დაგიბრუნებთ, ხოლო ვალდებული ვართ, მისი ფასი აგინაზღაუროთო.[15] ეკლესიის სანაცვლოდ ფულის აღებაზე პატრი სასტიკი წინააღმდეგი იყო. მით უმეტეს, რომ გიორგი ბატონიშვილს მისთვის ისიც უთქვამს, რომ მაგდენი ფულის გადახდასაც ვერ შევძლებთ, რადგან მარტო თბილისის ეკლესია ოთხი ათასი თუმანი ღირსო.[16]

კნორინგისაგან განსხვავებით, ციციანოვს უნდოდა, არც მართლმადიდებლები და არც კათოლიკენი არ დაზარალებულიყვნენ. ამ გეგმის განსახორციელებლად გარკვეული ნაბიჯებიც გადაუდგამს. იგი ქართული ეკლესიის მეთაურს, კათალიკოსსა[17] და იერარქებს ესაუბრა. ესენი იყვნენ ის იერარქები, რომლებმაც იმპერატორისათვის გაგზავნილ სიგელს, რომელსაც ქვემოთ გავეცნობით, ხელი მოაწერეს. ამის შემდეგ პ. ციციანოვი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამ ღონისძიების (კათოლიკეებისათვის თბილისისა და გორის ეკლესიების დაბრუნება) პეტერბურგიდან მიღებული ბრძანების შესრულება ახლად დაპყრობილ აღმოსავლეთ საქართველოში სეროზულ წინააღმდეგობას გამოიწვევდა, ამიტომ მისი სისრულეში მოყვანა შეუძლებლად მიაჩნდა.

15 თამარაშვილი მ. პასუხად სომხის მწერლებს, გვ. 142.

16 იქვე.

17 ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იყო ანტონ II (1788-1811), თეიმურაზ ბაგრატიონი, ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის შვილი.

ქართველმა იერარქებმა (სავარაუდოა, ციციანოვის შთაგონებით) 1802 წლის 29 აპრილს იმპერატორ ალექსანდრე I-ს გაუგზავნეს წერილი, რომლის ქართული დედანი დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში.

სიგელში ქართლ-კახეთის „ყოვლად სამღვდელონი მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი, და ეპისკოპოსნი სრულიად ქართლისა და კახეთისანი“ გამოხატავენ იმპერატორისა და რუსეთისადმი ერთგულებასა და მორჩილებას, აღიარებენ ივერიისა და რუსეთის შეერთებას იმპერატორის მანიფესტისა და დადებული ფიცის საფუძველზე. ისინი მოითხოვენ, საქართველოს ეკლესიამ და სამღვდელოებამ იმავე კანონითა და უფლებებით ისარგებლოს, როგორითაც სარგებლობს რუსეთის ეკლესია და სამღვდელოება. იერარქები იმპერატორის ყურადღებას მიაპყრობენ ქართლ-კახეთის სამეფოს თანამედროვე მდგომარეობას, რომ დახმარება სჭირდება მტრისაგან აოხრებულ და გაძარცულ საქართველოს ეკლესიებს, მათ აღდგენასა და აღკაზმვას. იმედი აქვთ, რომ მათი კეთილდღეობის სამარადისო მფარველი იქნება ხელმწიფე-იმპერატორი.

წერილში ქართველი იერარქები პრინციპულად მოითხოვენ: თუ ხელმწიფე არ ინებებს მათი თხოვნის დაკმაყოფილებას, მაშინ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საშუალება უნდა მიეცეს, მართოს და განაგოს ეკლესიის საქმეები ისე თავისუფლად, როგორც განაგებდნენ ქართველ მეფეთა დროს, ისე თავისუფლად, როგორც ცხადყოფენ ქართული ეკლესიის გუჯარნი და მეფეთა შეწირულობანი. საეკლესიო გუჯრების მიხედვით უნდა დარჩეს აქამომდე არსებული ქართული კანონებით დადგენილი შემოსავლის მიღების წესი ან სახელმწიფო ისევე შეეწიოს ქართველ ეპისკოპოსებს, როგორც ხდება რუსეთში იმპერატორების მიერ დადგენილი წესით.

წერილის ბოლოს ლაპარაკია იმ საკითხზე, რამაც გამოიწვია მართლმადიდებელი სამღვდელოების სერიოზულ შეშფოთება და რაც გახდა იმპერატორისადმი მიმართვის მთავარი მიზეზი. კერძოდ, გავრცელდა ხმა (ისინი არ ახმოვანებენ მის სახელს ვისგანაც შეიტყვეს იმპერატორის ბრძანების შესახებ), რომ „ვ(ითარმე)დ უთხოვიეს ლათინთა ტფილისსა და გორსა შ(ინ)ა ეკკლესიანი, ინებოს ყოვლად მოწყალემან პელმწიფემან ჩვენმან არა ბოძებად მათდა იგინი, ვნადგან ***მიუღო იგინი ცხებულმან მეფემან თეიმურაზ და მეფემან ირაკლი თანა კრებით, დიდისა ბრალისა და შეცოდებისათვს საზოგადოობისა, განიდევნნეს ლათინნი და მიეღოთ ეკკლესიანი,*** რომელიცა ესე პატიჟი მცირე იყო მათისა ყოვლადისა ბრალეულებისა და ***მიერ დღითგან იქმნნეს ეკკლესიად მართლმამდიდებელთა***, ***ინებოს ყ(ოვლა)დ მოწყა-***

ლემან კელმწიფემან ჩვენმან, არღარა უკუნქცევად მათდა, რომელთა შორის მრავალნი სამღუდელონი და საერონი კეთილშობილნი კნიაზნი მარხიან, რომელიცა ჰშობს ჩვენ შორის დიდსა მწუხარებასა და ურვასა ყოვლისადმი საზოგადოობასა. წელსა 1802, აპრილს 29, ტფილისს."

წერილს შინაარსსა და პათოსს ადასტურებენ:

„მდაბალი მიტროპოლიტი სამთავროსა და გორისა და წილკანისა იოანე.

მდაბალი მიტროპოლიტი ხიზიყისა და სიღნაღისა ბოდბელი იოანნე; მდაბალი მიტროპოლიტი ნინოწმიდისა და საგარეჯოსი მიხაილ; მდაბალი არხიეპისკოპოსი რუსთავისა და მარტყოფისა სტეფანე; მდაბალი ეპისკოპოსი ნეკრესისა ამბროსი; მდაბალი ეპისკოპოსი ხარჭასოში ნიკოლაოს; მდაბალი მიტრაპოლიტი ტფილისისა და ეფისკოპოზი მანგლისისა და ბოლნისისა ბაგრატოვანი არსენი; მდაბალი მიტრაპოლიტი რუისისა და სურამისა არხიმანდრიტი, თავდებასა მღთისმშობლისა, მრუელი იუსტინე; მდაბალი ეპისკოპოსი სამთავისისა და ქსნისა ღერვასი; მდაბალი ეპისკოპოსი ნიქოზისა ათან(ა)სე; არხიმანდრიტი მოძღვართმოძღვარი იოაკიმ; მრავალმთის დავით გარეჯის არხიმანდრიტი უდაბნოსა ილარიონ; არხიმანდრიტი იკორთისა გამალიელ."[18]

იმპერატორისათვის გასაგზავნ წერილს ხელი არ მოაწერა კათალიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო მისი ახალ ხელისუფლებასთან დაპირისპირებით.[19]

პეტერბურგში გაგზავნილმა სიგელმა (ამჯერად მისი ის ნაწილი მაქვს მხედველობაში, სადაც მოთხოვნაა კთოლიკებისათვის ეკლესიების არდაბრუნებაზე) შედეგი გამოიღო, ალბათ, იმიტომაც, რომ მას საფუძველს უმაგრებდა პავლე ციციანოვი პეტერბურგში გაგზავნილი თავისი მოხსენებითი ბარათებით და უმაღლესი მოხელეები საქმის კურსში შეჰყავდა საქართველოში კათოლიკური მორწმუნეების მდგომარეობისა და მართლმადიდებლების მათდამი დამოკიდებულების შესახებ.

„თავად ციციანოვის წერილი თავად ჩარტორისკის. 14 აპრილი, 1804 წელი, №164.

18 სცსა, ფ. 1448. საქმე 9200. დოკუმენტი პირველად და სრულად გამოაქვეყნა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელმა, ქალბატონმა მაია შაორშაძემ. იხ. შაორშაძე მ. XIX საუკუნის დასაწყისის ქართველი სასულიერო მოღვაწეები მართლმადიდებელი ეკლესიის დასაცავად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, 5, თბილისი, 2012, გვ. 208-220.

19 ანტონ II-ის კნორინგთან და ციციანოვთან დაპირისპირების შესახებ იხ. ბერძნიშვილი მ. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბილისი, 1980.

მქონდა პატივი მომეხსენებინა მისი ბრწყინვალება სახელმწიფოს კანცლერ გრაფ ალექსანდრე რომანის ძე ვორონცოვისათვის რომის ეკლესიის სამღვდელოების შესახებ, რომელთა აქ [საქართველოში] ყოფნა აუცილებლად მიმაჩნია, რადგან ***მრავალრიცხოვანმა სომხებმა მიიღეს რა კათოლიკური აღმსარებლობა, ცხოვრობენ საქართველოში***, იმიტომაც, რომ ჯარში მრავლად არიან იმავე აღმსარებლობის დაბალი წოდების ადამიანები. ის სამღვდელოება, როგორც მე წარმომიდგენია, თუ დამოკიდებული იქნება რუსეთის იმპერიის სასულიერო ხელმძღვანელობაზე, ამით აღიკვეთება აქაური ეკლესიის ურთიერთობა რომისა და საფრანგეთის სამღვდელოებასთან... აქაური [კათოლიკური] სამღვდელოება ეკუთვნის [რომის] პროპაგანდას. ***ისინი დიდი ხანია აქ იმყოფებიან, ისწავლეს [ქართული] ენა, სარგებლობენ სომხების ნდობით,*** მკურნალობის ხელოვნებით მრავალს ეხმარებიან..."[20]

შემდეგ წერილში პ. ციციანოვი განმარტავს, ვინ არიან წარმოშობით სომეხი კათოლიკენი და რატომ ანიჭებენ ისინი უპირატესობას ქართულად მოლაპარაკე მისიონერებს. პ. ციციანოვი რომაულ-კათოლიკური სასულიერო კოლეგიის ხელმძღვანელებს ურჩევს საქართველოში გამოსაგზავნი მისიონერების შერჩევის დროს ყურადღება მიაქციონ კაპუცინთა ორდენის ახალგაზრდა წევრებს, რომლებიც ადვილად და სწრაფად დაეუფლებიან ქართულ ენას.

ციციანოვის წერილი გაგზავნილი რომაულ-კათოლიკურ სასულიერო კოლეგიაში 1805 წლის 28 თებერვალს, №232:

„1804 წლის 19 ოქტომბერს კოლეგიის ჩემდამი მომართვის №1213-ის თანახმად, ვაცნობე აქაურ უფროს პატრს, ფრანჩესკო დე პადუას, რომელმაც მომიტანა წერილობითი ცნობები საქართველოში მცხოვრები რომაულ-კათოლიკური სამღვდელოების, [მათი] ეკლესიებისა და სხვათა შესახებ... რაც შეეხება იმას, რომ ამ სამღვდელოებამ ყველა სასულიერო საჭიროებისათვის უნდა მიმართოს რუსეთში რომაული ეკლესიების მიტროპოლიტს სესტერნიცევიჩს... ***საჭიროა აქ გამოიგზავნოს ახალგაზრდა კაპუცინელი ბერები, რომლებიც ისწავლიან ქართულს, რადგან აქაური ამ აღმსარებლობის მაცხოვრებელნი სომხები არიან და ლაპარაკობენ ქართულად,*** რომელზეც თარგმნილია ყველა საწირავი წიგნი. აგრეთვე ბერებს უნდა დაენიშნოთ ხელფასი – თბილისში ორს, გორში ერთს და ცხინვალში ერთს. რის გარეშე აქაური კათოლიკური მრევლი დარჩება მწყემსის გარეშე."[21] როგორც ჩანს, დასახელებულია ის ქალაქები, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ სომხები და შესაბამისად მრავლად იყვნენ კათოლიკენი.

20 Акты собранные Кавказскою Археологичекою коммиссиею, II, с. 281, №550

21 Акты собранные Кавказскою Археологичекою коммиссиею, II, с. 283, №555.

ზემოთ ციტირებული დოკუმენტებიდან ისიც კარგად ჩანს, როგორ შეიცვალა საქართველოში კათოლიკე სომხების სოციალურ-კულტურული მდგომარეობა დაახლოებით უკანასკნელი 170 წლის განმავლობაში. აუცილებლად უნდა გავიხსენოთ გორის თეატინელთა მისიის ხელმძღვანელის დონ პიეტრო ავიტაბილეს მიერ 1635 წელს რომში გაგზავნილი რელაციონი, რომელშიც ის ითხოვდა, რომ „ის პირნი, რომელნიც საქართველოში უნდა შემოვიდნენ (სამისიონერო საქმიანობისათვის – ე. მ.), სწავლის დასრულების შემდეგ რამდენიმე ხნით რომში დარჩნენ, რათა დაეუფლონ, როგორც სომხურს, ასევე თურქულ ენებს. ამას შეძლებენ იოლად, რადგან მაგ მხარეში (იტალიაში – ე. მ.) ბევრი სომეხია... თუ დაცდას არ მოისურვებენ და აღნიშნულ მისიონში (გორში – ე. მ.) მოსვლის შემდეგ დაიწყებენ (ენების) შესწავლას, მაშინ საზიანო იქნება პირადად მათთვისაც და ვერც ამ ხალხის (სომხების – ე. მ.) მოთხოვნებს გაუწევენ სამსახურს“.[22]

როგორც აღინიშნა, XIX საუკუნის დასაწყისისათვის სომეხი კათოლიკეებისათვის უკვე უმჯობესი იყო ქართულად მოლაპარაკე კათოლიკე ბერები. მათმა ენობრივმა ასიმილაციამ ის შედეგი გამოიღო, რომ მათი ეკლესიური მომსახურებისათვის, როგორც წერილშია ნათქვამი, აუცილებელი ლიტერატურა ქართულად ითარგმნა.

1805 წლის 22 აპრილს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწე ადამ ადამისძე ჩარტორისკი პ. ციციანოვს სწერდა: „თქვენი უგანათლესობის 28 თებერვლის მომართვის საფუძველზე, რომელსაც დართული ჰქონდა რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის მისიონერის ანტონიო ფრანჩესკო დე პადუას მიერ თქვენთვის მორთმეული წერილები, რომლებშიც იგი აცხადებს, რომ პროპაგანდის ნებართვის გარეშე არ შეუძლია იყოს რუსეთის რომაულ-კათოლიკური კონსისტორიის დაქვემდებარებაში. მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ არ დავაყოვნებ ამ საკითხზე დავუკავშირდე მის უსამღვდელესობას, მიტროპოლიტ სესტრენცევიჩს. ***ვინაიდან თქვენი უგანათლებულესობა მისიონერების საქართველოში ყოფნას შერაცხავს სასარგებლოდ და დიდი გავლენის მქონედ მათ სამწყმსოში მყოფი კათოლიკე სომხების რიგიან რაოდენობაზე,*** ამიტომ [სესტრენცევიჩს] შევთავაზებ თქვენს მოსაზრებას კაპუცინთა ორდენის რამდენიმე ახალგაზრდა ადამიანის საქართველოში გამოგზავნის შესახებ. მათ დაენიშნოთ საკადრისი ჯამაგირი, რომ ***შეისწავლონ ენა და შესძლონ მაგ მხარის მოსახლეობასთან ურთიერთობა***. [ეს უნდა მოხდეს მანამდე] ვიდრე მოხუცი მისიონერები უკან გაემგზავრებიან რომში. ვიდრე რუსეთის კარის რომთან შეწყვეტილი ურთიერთობა არ მიიღებს ჩვეულებრივ სახეს,

22 დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), 41.

მგონია, რომ ხსენებული მისიონერების დასამშვიდებლად საკმარისი იქნება, თუ აქაური კონსისტორია შეწყვეტს [კათოლიკეების] თავისადმი დამორჩილების დაჟინებით მოთხოვნას, რასაც [მისიონერები] პროპაგანდის მიერ მიღებული წესების გამო, პაპის თანხმობის გარეშე ვერ დაემორჩილებიან. მათი დამშვიდებისათვის თქვენს უგანათლებულესობას შეუძლია წინასწარ აცნობოს, რომ აქაური სასულიერო ხელისუფლება არ შეაწუხებს მათ გამეორებითი მოთხოვნებით."[23]

ციციანოვის მიერ ჩარტორისკისათვის გაგზავნილ წერილში (1804 წლის 29 მაისი, №294) აღნიშნულია, რომ მან თავის განკარგულებაში არსებული განსაკუთრებული ხარჯებისათვის განკუთვნილი ასი ათასი რუბლიდან 6 ათასი კათოლიკური სამღვდელოების პრიორს ფრანჩესკო ანტონიოს გადასცა თბილისში კათოლკური ეკლესიის ასაშენებლად. მშენებლობა დაიწყეს 25 მაისს. ციციანოვს ამის შესახებ იმპერატორისთვისაც უცნობებია.[24]

ციციანოვი ჩარტორისკის წერდა (1805 წლის 28 თებერვალი, №121), რომ ***იმერეთსა და სამეგრელოში მცხოვრები კათოლიკეებიც სომხები არიანო.***[25]

მ. თამარაშვილი იცნობდა პ. ციციანოვის ხელიდან გამოსულ დოკუმენტებს. იგი დადებით შეფასებას აძლევდა მთავარმართებლის დამოკიდებულებას ზოგადად კათოლიკეებისადმი, მაგრამ მისთვის მიუღებელი იყო ის, რასაც საქართველოს კათოლიკეების ეთნიკური შემადგენლობის შესახებ წერდა. მკვლევრის აზრით, ციციანოვის ასეთი მოქმედება განპირობებული იყო მისი დროის რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკითა და საქართველოში არსებული ვითარებით: „უკეთუ სხვანაირად და ცხადად მიეწერა ქართველი ტომის კათოლიკეებისაც, მაშინ იძულებული იქნებოდა, თავისი ერთგული მეგობარი კაპუცინები თვითონვე განეშორებინა საქართველოდან, რადგან 1735 წ. რუსის მთავრობისაგან გამოვიდა ერთი უქაზი, რომელიც სასტიკად უკრძალავდა მართლმადიდებლების კათოლიკობაზე გადაყვანას."[26] მ. თამარაშვილის მიხედვით, მთავრობის რეაქცია იქნებოდა მკაცრი, რომ ქართველებზე ეთქვათ კაპუცინებმა ქართველებში განათლება შეიტანეს და ზოგი მათგანი კათოლიკობაზე გადაიყვანესო, მისიონერებს საქართველოდან განდევნიდნენ. აი, ეს ყოფილა მიზეზი, რომ ცი-

23 Акты собранные Кавказскою Археологичекою коммиссиею, II, 283, №556.

24 Там же, II, с. 282, №552

25 Там же, II, с. 282, №554.

26 თამარაშვილი მ. პასუხად სომხის მწერლებს, გვ. 188. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ვიდრე პ. ციციანოვი მთავარმმართებელი გახდებოდა, მანამდე ი. პ. ლაზარევის მიერ შეგროვილ მასალებში ხაზგასმული იყო, რომ საქართველოში კათოლიკების უმრავლესობა სომხები იყვნენ. აღნიშნულ მასალებს ეყრდნობოდა ციციანოვიც.

ციშვილმა თავის მიმოწერაში ქართველები საერთოდ არ დაასახელა და შეიძლება კაპუცინებმაც სთხოვეს ციციანოვს ქართველების გაკათოლიკება დაეფარაო, ვარაუდობდა მ. თამარაშვილი.[27] რაც შეეხებოდა სომხებს, მკვლევარი იმოწმებს პ. ციციანოვის სიტყვებს, რომ მათი გაკათოლიკების ნებართვა კაპუცინებს ქართველი მეფეებისაგან ჰქონდათო.[28]

როგორც პ. ციციანოვის შემდგომი რუსი მაღალი რანგის მოხელეების მიმოწერიდან ჩანს, მის მიერ შემუშავებული საქართველოს კათოლიკეებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულების გეგმა, რუსეთის ხელისუფლების მიერ იმდენად მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული, რომ მას შემდეგში იყენებდნენ, როგორც სახელმძღვანელოს. 1812 წლის 5 აპრილს მარკიზი პაულიჩი წმ. სინოდის ობერპროკურორს, თავად გოლიცინს სწერდა: ციციანოვის წარდგინებით[29] და იმპერატორის ნებართვით გაცემული ფულით თბილისში ეკლესია უკვე აშენებულია[30] იმ ადგილას, რომელიც საქართველოს მეფეებმა კათოლიკეებს ჩამოართვეს, მაგრამ გორსა და იმერეთში, სადაც კათოლიკური აღმსარებლობის არც თუ მცირე მოსახლეობა არის, არა აქვთ ტაძრები და ღვთისმსახურებას დაქირავებულ სახლებში ასრულებენ. განსაკუთრებით საინტერესოა წერილის ის ადგილი, სადაც პაულიჩი კათოლიკეების საქართველოში ყოფნის აუცილებლობაზე ლაპარაკობს და ის თითქმის იმეორებს ციციანოვის აზრებს. პაულიჩი აღნიშნავს, რომ კათოლიკური სამღვდელოება საქართველოში მრავალმხრივ სასარგებლოა: იმის გარდა, რომ იგი აუცილებელია აქაური კათოლიკე მოსახლეობისათვის, იმავე დროს ჩნდება პერსპექტივა, ***ოსმალეთთან ზავის დადების შემდეგ მოვასწროთ საქართველოში გადმოყვანა იმ კათოლიკეებისა, რომლებიც ცხოვრებენ საქართველოს მეზობელ ოსმალეთის სამფლობელოებში. ისინი მრავლად არიან ახალციხეში, ყარსში, ერზერუმსა და ბაიაზეთში. ისინი სიამოვნებით გადასახლდებიან საქართველოში.*** კათოლიკე პატრების საქართველოში ყოფნა პაულიჩს აუცილებლად მიაჩნდა იმიტომაც, რომ ისინი

27 თამარაშვილი მ. პასუხად სომხის მწერლებს, გვ. 188-189.

28 იქვე, გვ. 190.

29 პავლე ციციანოვს აქტიური მონაწილეობა მიუღია ეკლესიის დაგეგმარებასა და მშენებლობაში. მას საკუთარი ხელით დაუხატავს ეკლესიის გეგმა. იქვე, გვ. 497-498.

30 როგორც პირველი პატრი კარდინალს აცნობებდა, დიდი ზეიმით აღინიშნა თბილისის კათოლიკური ეკლესიის გახსნა: „პროცესიას აქეთ-იქით რუსის ჯარი ახლდა და წინ მიუძღოდნენ რუსის მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო აფიცრები, ქართველები, სომხები და მთელი ქალაქი უყურებდა. აქაური ქართველების კათალიკოსმა და მათმა მიტროპოლიტმა ეკკლესიაში შემოსვლა ინებეს, ეგრეთვე სომხების პირველი ეპისკოპოსიც შემოვიდა..“ თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 497.

გარკვეულნი იყვნენ მედიცინაში და ადგილობრივი მცხოვრებნი წარმატებით იყენებდნენ მათ. პატრებს თავი გამოუჩენიათ 1811 წელს, მაშინ, როდესაც ეპიდემია მძვინვარებდა აღმოსავლეთ საქართველოში. ისინი განსაკუთრებული თავდადებით ეხმარებოდნენ ავადმყოფებს გორში.

პაულიჩის აზრით, პატრების საქართველოში ყოფნა მიზანშეწონილი იყო იმის გამოც, რომ საქართველოში განლაგებულ რუსულ ჯარში იყვნენ კათოლიკური აღმსარებლობის მოხელეები, განსაკუთრებით კი პოლონეთიდან ჩამოყვანილ რეკრუტებს შორის.

პაულიჩის მიხედვით, კათოლიკური სამღვდელოება უნდა გაყოფილიყო სამ სამრევლოდ: თბილისის, გორისა და იმერეთის. მღვდლებს უნდა დანიშნოდათ ხელფასი ვერცხლის 120 რუბლის ოდენობით[31], რაც 1817 წლისათვის უკვე სისრულეში იქნა მოყვანილი.[32]

დაბოლოს, რაც განსაკუთრებული იყო კათოლიკური სამღვდელოების რუსეთის მთავრობისადმი ლოიალობის დასამტკიცებლად, ის აღირებდა თავის დამოკიდებულებას რომაულ-კათოლიკურ კოლეგიაზე და იმყოფებოდა რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის მიტროპოლიტის სტანისლავ სესტერცევიჩის განკარგულებაში.[33]

ვერ გავიზიარებ მ. თამარაშვილის მოსაზრებას, თითქოს რადგან რუსეთში დიდი ხნიდან აკრძალული იყო მართლმადიდებლების გაკათოლიკება, როცა რუსები საქართველოში შემოვიდნენ ასეთი კანონი შემოიტანეს.[34] მის მიერ მოძიებული და გამოქვეყნებული წერილობითი წყაროები ასეთი განცხადების გაკეთების საფუძველს არ იძლევა. ზოგადად, მართლმადიდებლურ ქვეყნებში ანტიკათოლიკური განწყობილება მეტ-ნაკლებად არსებობდა, მაგრამ რუსეთში უფრო მეტად, რადგან წმინდა რელიგიურის გარდა, პოლიტიკური მიზეზიც არსებობდა. რუსეთი დიდი ხნის განმავლობაში დაპირისპირებული იყო კათოლიკურ პოლონეთთან, რომელსაც მხარს უჭერდნენ რომის პაპი და კათოლიკური ქვეყნები. ისინი რუსეთის, ამ დიდი ქვეყნის, პოლონეთის საშუალებით გაკათოლიკებას ვარაუდობდნენ. რუსეთის ანტიკათოლიკური პოლიტიკა შემდეგში ტრადიციული გახდა.

გაგვაჩნია მართლმადიდებელი ქართველის კათოლიკობაზე გადასვლის და ამგვარ ფაქტებზე მართლმადიდებელი მრევლისა და ხელისუფლების რეაგირების შესახებ რუსეთის მიერ საქარველოს ანექსიამდე, მხოლოდ რამდენიმე ცნობა გაგვაჩნია. ანტიკათოლიკური

31 Акты собранные Кавказскою Археологичекою коммиссиею, V, Тифлис, 1873, 49, №83

32 თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 508.

33 Акты собранные Кавказскою Археологичекою коммиссиею, V, 49, №83.

34 თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 493.

გამოსვლა მოხდა გორში 1634 წელს, როდესაც პატრებმა ერთ-ერთი მართლმადიდებელი ნასყიდა ლოპომანის (?) გაკათოლიკება მოინდომეს. გორელებმა დამნაშავეთა დასჯა განიზრახეს და კათოლიკეთა ტაძარიც დაანგრიეს. ამის შემდეგ მოსახლეობამ საჩივრით მიმართა მეფე როსტომს, მარიამ დედოფალსა და პატრიარქ ევდემოზ I დიასამიძეს (1532-1642). პატრიარქმა პიეტრო ავიტაბილე, გორის მისიონის ხელმძღვანელი, თავისთან დაიბარა და განრისხებულმა უსაყვედურა: „როგორ გაბედე ჩემი ქართველები ფრანკების წესზე მოაქციეო";[35] „[ანდრია[36]] ნაკუწ-ნაკუწად უნდა ვაქციო, ამას არ ვიზამდი, ფრანკი რომ არ გამხდარიყოო."[37] როცა როსტომი ქართლში გამეფდა, ბრძანება გამოსცა: ვინც ისლამის გარდა, სხვა სარწმუნოებას მიიღებდა, სიკვდილით დაისჯებოდა.[38] მეფის ბრძანება, ფაქტობრივად მართლმადიდებლობას იცავდა. უფრო მეტიც, 1775 წელს ერეკლე II-მ გრიგორიანელი სომხების კათოლიკობაზე გადაყვანაც აკრძალა: „ვინც კათოლიკობას მიიღებს, ჯარიმად გადაიხდის 350 რომაულ სკუდის. ხოლო „განიდევნოს მისიონერი, რომელიც კათოლიკე სარწმუნოებას შეუერთებს რომელსამე სომეხ მწვალებელს."[39]

მოხმობილი მაგალითები მართლმადიდებლების კათოლიკობაზე მოქცევის კანონის საფუძველზე აკრძალვის მაჩვენებელია, მაგრამ ქვეყანაში არსებობდა ტრადიციული და მორალური აკრძალვები, რომლებიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში მოქმედებდა. მას მტკიცედ იცავდნენ მართლმადიდებლები, მით უმეტეს, რომ კათოლიკობაზე გადაყვანისათვის ზემოქმედების ძალადობრივი, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ბერკეტები ქვეყნაში არ მოქმედებდა. გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პოლიტიკური ან რელიგიური მოსაზრებით კათოლიკობა აღიარეს ქართველმა მოღვაწეებმა (სანიმუშოა სულხან-საბა ორბელიანისა და ანტონ II კათალიკოსის ხვედრი მათთვის კათლიკობის აღირებაში ბრალის დადებისა და გასამართლების გამო).

იმის გასაგებად, როგორი მკაცრი რეაქცია შეიძლებოდა გამოეწვია მართლმადიდებელ მოსახლეობაში ქართველი მართლმადიდებლის მიერ კათოლიკობის აღიარებას შეიძლება კვლავ გავიხსენოთ გორელი ნასყიდა/ანდრიას მაგალითი და ისიც, მის ამგვარ მოქმედებას რა შედეგიც მოჰყვა. აქვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნასყიდა/ანდრიას საკითხის გამო დონ პიეტრო ავიტაბილე, ეს განსწავლული

35 დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), გვ. 64.
36 პროზელიტ ნასყიდას პატრებმა ანდრია დაარქვეს.
37 დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), გვ. 66.
38 იქვე, გვ. 131.
39 იქვე, გვ. 401.

და გამოცდილი პატრი, იძულებული გახდა, საქართველოდან წასულიყო და ანდრიაც თან წაეყვანა. ამას მაფიქრებინებს ავიტაბილეს მიერ ალეპოდან პროპაგანდა ფიდეს სამდივნოში გაგზავნილი 1638 წლის 16 სექტემბრის წერილი, რომელშიც მან საკმაოდ დაწვრილებით აღწერა ანდრიას გაკათოლიკების გამო ქართლის სამეფოში გადატანილი შიში და შეურაცხყოფა კათალიკოსისა და ქართველი და სომეხი მოსახლეობისგან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვითონ მისიონერებიც ერიდებოდნენ ქართველი მართლმადიდებლების გაკათოლიკებას. ამის თაობაზე რომიდანაც აფრთხილებდნენ მათ. თუ მაინც რომელიმე ქართველი მართლმადიდებელი გახდებოდა კათოლიკე, ასეთი ფაქტი საიდუმლოდ უნდა შეენახათ, რადგან მათთვის კარგად იყო ცნობილი, როგორი რეაქცია მოჰყვებოდა მართლმადიდებლების მხრიდან პატრების ამგვარი მოქმედების გახმაურებას.[40] მდგომარეობა შემდგომში რომ უკეთესობისაკენ არ შეცვლილა, ჩანს პატრი ჯულიო კრემონელის მიერ ბარძიმ ერისთავისშვილის – „ყველაზე უფრო შესანიშნავი პირი ამ (ქართლის – ე. მ.) სამეფოში“ – მიერ კათოლიკური რწმენის აღიარებასთან დაკავშირებით რომში 1690 წელს გაგზავნილი ვრცელი წერილის დასასრულიდან. ჯულიო კრემონელი წუხს იმის გამო, რომ ვაითუ ბარძიმ ერისთავის მიერ მისი პროზელიტობის შესახებ რომში გაგზავნილი ქართულად დაწერილი წერილის მთარგმნელმა გაახმაუროს კათოლიკეთათვის ეს სასიხარულო, მაგრამ ქართველი მართლმადიდებლებისათვის სამწუხარო ამბავი. „საჭიროა, შეატყობინოთ მის მთარგმნელს“, – წერს ჯულიო, – „რომ გაჩუმდეს და ამ ბატონის

40 ნიკიფორე ირბახი მთელი სიცოცხლის მანძილზე საიდუმლოდ ინახავდა რომში ქართველთა ცდომილების აღიარებას და, როგორც სავარაუდოა, საქართველოში დაბრუნებულმა თეიმურაზ მეფესაც კი არ გაუმხილა ამის შესახებ. ნიკიფორეს ეს საიდუმლო იცოდნენ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებმა, მაგრამ ისინი არ ამხელდნენ (მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II (XVII ს. პირველი ნახევარი – თეიმურაზ I-ს ეპოქა), თბ., 2011, გვ. 279-312). საქართველოში მისიონერების გამომგზავნი და მათი საქმიანობის ორგანიზატორი პიეტრო დელა ვალე, გორის მისიის ხელმძღვანელს, დონ პიეტრო ავიტაბილეს აფრთხილებდა: „შესაძლებელია თვითონ ნიკიფორესაც არ სურს, რომ ეს (მის მიერ კათოლიკობის აღიარება – ე. მ.) ცნობილი გახდეს მისი თანამემამულეებისათვის“ (ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX ს-ის პირველი მეოთხედი), III (1628-1633), თბ. 1987, გვ. 130). მისიონერებმა კარგად იცოდნენ ქართველი მართლმადიდებლების დამოკიდებულება რწმენის შეცვლისადმი. საქართველოს ეკლესიის მესვეურნი, პოლიტიკური წრეები ინფორმირებულნი იქნებოდნენ იერუსალიმში ქართველებისა და ლათინების დაპირისპირებაზეც, რაც მისიონერებისადმი არასასურველი აზრისა და განწყობილების ფორმირებას გამოიწვევდა. იხ. მამისთვალიშვილი ე. საქართველო – იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 2008, გვ. 70-74.

გაკათოლიკებაზე არც წერილითა და არც სიტყვით არავის არა უთხრას. რათა (ბარძიმ ერისთავს – ე. მ.) არავითარი წინააღმდეგობა შეემთხვეს იმაში, რის აღსრულებასაც ფიქრობს და არც ამას რაიმე უსიამოვნება ემიზეზოს. ასევე უნდა დააბაროთ იმ მონაზონებს, რომლებიც თბილისში მოდიან."[41]

კათოლიკური პროპაგანდისათვის ხელის შემშლელი პირველ რიგში იყო ის, რომ საქართველოს მართლმადიდებლური მოსახლეობა მტკიცედ იცავდა თავის აღმსარებლობას. საქართველოს სამეფო სამთავროებად დაშლისა და მათზე ირანისა (აღმოსავლეთ საქართველოში) და ოსმალეთის (დასავლეთ საქართველოში) საკმაოდ ძლიერი გავლენის მიუხედავად, მაინც ყველა პოლიტიკურ ერთეულში არსებობდა ფეოდალური ქვეყნისათვის აუცილებელი სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მართლმადიდებლობისა და მისი ეკლესიის სხვა, კათოლიკური და გრიგორიანული რელიგიების გავლენისაგან დაცვას. რაც შეეხება მაჰმადიანობას, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, მის წინააღმდეგ ახდილად გამოსვლა სერიოზულ კონფლიქტს გამოიწვევდა მეზობელ ძლიერ მუსლიმანურ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ამა თუ იმ ქართული პოლიტიკური ერთეულის მმართველი ფორმალურად გამუსლიმანებული ქართველი იყო. ამ უკანასკნელი რელიგიის ქართველი ფეოდალური ელიტის მიერ აღიარების ხარისხის საკითხი XVII-XVIII საუკუნეებში სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

* * *

პატრებს რომ პრაგმატული ინტერესებით ითმენდნენ საქართველოში, კარგად ჩანს რომში გაგზავნილი წერილებიდან. ირკვევა, რომ ხელისუფლებასა და პატრებს შორის გარკვეული გარიგება არსებობდა, რომელიც გულისხმობდა პატრების მიერ ქართველი მეფეების და ქართველი მოსახლეობის კარგ დახასიათებას რომის პაპებისა და კარდინალების წინაშე, რომელთა აზრს ანგარიშს უწევდნენ ევროპის სახელმწიფოთა მესვეურები. სამაგიეროდ, ქართველი ხელისუფალნიც რომში გაგზავნილ წერილებში აქებდნენ პატრებსა და მათ საქმიანობას. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე ამონარიდს საქართველოდან რომში გაგზავნილი მათი წერილებიდან.

იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ის (1660-1681) წერილიდან: „ქ. მეფე ბაგრატ... ფრანგსა პატრი სერაფიონს და მის ამხანაგებს მრავალნი მოკითხვა მოგახსენეთ. აწე თუ ჩვენი თავი უნდათ ორიოდე კარგი მეცნიერი და კაი აქიმი პატრი მათის კაი საექიმო წამლებით და წიგ-

41 თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 278.

ნებითა მოვიდენ და ***ღვთით ვეცდებით, რომ ალაგიც გაუჩინოთ და სარჩოს საქმეც გაურიგოთ და როგორიც წიგნიც უნდოდეთ იმისთანა წიგნიც რომის პაპს მიუწეროთ.*** სიკეთის მეტი ამ ქვეყანას მაგათ არა უშამს რა ესემცა არ გიქნიათ რომე არ წამოხვიდეთ."[42] ასეთივე შინაარსისაა რაჭის ერისთავის შოშიტა II-ის (1661-1684) წერილი გაგზავნილი იმავე სერაფინოსადმი.[43] მეფეც და ერისთავიც კაპუცინებს, გასამრჯელოსთან ერთად, ჰპირდებიან პაპს ისეთი წერილი გაუგზავნონ, რა თქმა უნდა, მათი საქებარი, როგორსაც ისინი ისურვებდნენ. მეფე ან ერისთავი პირველ რიგში პაპსა და მის კურიას, მისიონერების უშუალო ხელმძღვანელებს რომში აცნობებდნენ მათი წარმომადგენლების კეთილსინდისიერების, განსწავლულობისა და იმ ეკონომიკური შეჭირვების შესახებ, რასაც ისინი განიცდიდნენ რომიდან უყურადღებობის გამო. იქვე აუცილებლად იქნებოდა თხოვნა მათდამი, ვისაც ეხებოდა, რომ სასწრაფო და ქმედითი დახმარება აღმოეჩინათ მისიონერებისათვის. ამგვარი პათოსითაა დაწერილი ვახტან V შაჰნავაზის (1658-1675) 1675 წლის ივლისის წერილი, რომლის ერთ, ჩემი აზრით, განსაკუთრებით საინტერესო ფრაგმენტს ქვემოთ გავეცნობით.

დაგვიანებული შემწეობით შეწუხებულმა კაპუცინებმა პატრი რაფაელი გაგზავნეს რომში და წერილები გაატანეს. მათ შორის იყო შაჰნავაზის ორი წერილი, ერთი პაპისა, მეორე კი კაპუცინების გენერლისათვის.

მეფე პაპ კლემენტე X-ს თავისი ქველმოქმედების წარმოსაჩენად და მისიონერების სავალალო ეკონომიურ მდგომარეობაზე ყურადღების მისაპყრობად (სავარაუდოა, პატრ რაფაელის თხოვნით) სწერდა, როგორ მიიღო თავის სამეფოში მოსული კაპუცინები, როგორ შეუწყო ხელი, რათა მათ თავიანთი მისიის შესრულება სრულფასოვნად შეძლებოდათ. მაგრამ მათ რომიდან არავითარ ყურადღრებას არ აქცევენ. „ამდენი ხანია აქ არიან, არც ჯამაგირი მოუვიდათ, აღარც თქვენი წყალობა. ეს არ ვიცით, თუ გამოუგზავნეთ რამე და არ მოუვიდა. თუ არ მოიგონეთ და არ გამოუგზავნეთ, ეს ვერ შევიტყეთ სადაც სხუაგან, ან ისპაანს და თავრეზს, სადაც გარეშემოში თქვენის სახელით დადგენილი პატრები არიან, ყველას წელიწადში ჯამაგირი მოუვა. ამათ ხუთი წელიწადია არა მოსვლია რა, ***თუ ჩუენს ქუეყანას ყოფისათვის არას უგზავნით და არას ნაღვლობთ, ჩუენც არ დავაყენებთ, საყდარს ისევ დავუქცევთ და ამათ გამოვყრით, თუ მათი აქ დგომა გინდათ, ჯამაგირი მართალი გაურიგეთ როგორც სხუა ალაგის დგომს პატრებს აქუს***[44] **და**

42 თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 244.

43 იქვე.

44 როგორც მ. თამარაშვილი წერდა, პროპაგანდამ საქართველოში იმიტომ გამოგზავნა კაპუცინელი ბერები, რომ ისინი გამოირჩეოდნენ თავიანთი ღატაკი

ეს პატრი რაფაელი ისევ გამოგზავნეთ. ამან ჩუენის ქუეყნის ენა იცის და ყოველს კაცს იცნობს და ყველანი ეწყობიან და ყუელას სიყვარული აქუს ამისი და თქუენის სახელისათვის დიდათ სჯობს ამის აქ ყოფა."[45] ასეთივე შინაარსისაა და იგივე ტონითაა დაწერილი შაჰნავაზის წერილი კაპუცინების გენერალ პატრ ბონვენთურა ლეკარტისადმი.[46]

მეფეები და დიდებულები, რომ პაპსა და პროპაგანდა ფიდეს ხელმძღვანელებს სისტემატურად სთხოვდნენ სხვადასხვა ხელობაში (განსაკუთრებით მედიცინაში) გაწაფული მისიონერების საქართველოში გამოგზავნას, მ. თამარაშვილის მიერ მოძიებულ იმდენად მრავალ წერლშია ამის შესახებ ინფორმაცია, რომ მათი ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს. გავეცნოთ უკანასკნელ ნიმუშს იმერეთის მეფე სოლომონ II-ს ამგვარი თხოვნისა თუ მოთხოვნისა. სოლომონ მეფე „დიდი რომის კრების კარდინალ ბორჯიას სწერს: „ჩვენო მოწყალეო ხელმწიფევ, გავლილ დროებში თქვენის ბრძანებით ევროპაში წასასვლელად პატრი ნიკოლამ აქ გამოიარა, და ჩვენ შევაჩერეთ, რადგან აქიმი გვეჭირვებოდა, კაი სამსახური მოგვაგო.

ახლა მოუვიდა მას კვალად ბრძანება მანდ დაბრუნებისა; თუმცა ამას მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს წამოსვლა და ჩვენი დატოება, მაგრამ ავუკრძალეთ წასვლა. ვინაიდგან აქიმებად მუდამ თქვენი გამოგზავნილი პატრები გვყავდა, ამიტომ ვნატრობთ, თქვენმა უმაღლესობამ კეთილ ინებოს და ჩვენი სიყვარულისათვის პატრი ნიკოლას ნება მისცეთ ჩვენთან დარჩეს. ***წინააღმდეგ შემთხვევაში ძალით არ დავიჭერთ, გამოგიგზავნით, მაგრამ შემდეგში კი აღარც ერთ პატრს დავაყენებთ აქ; ყველანი იძულებულნი გახდებიან აქედგან წავიდენ, თუ ჩვენის პატივისათვის მისი აქ დატოვება არ ინებეთ***..."[47]

მისიონერებისათვის სრულიად ნათელი იქნებოდა მათ მიმართ ხელისუფალთა ინტერესის თავისებურება, რაც გამორიცხავდა კათოლიკური პროპაგანდას მართლმადიდებელ მოსახლეობაში.

დოკუმენტური და ნარატიული წყაროებით თუ ვიმსჯელებთ, ქართველი მართლმადიდებლები კათოლიკე მისიონერების საქმიანობისადმი შემწყნარებლობას ამჟღავნებდნენ იმდენად, რამდენადაც მასპინძელს შეეფერებოდა სტუმრის მიმართ. მოწინავე ადამიანებს, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსებს, კარგად ესმოდათ, რომ კათოლიკე მისიონერების ზურგს უკან იდგა დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური გავლენის მქონე რომის პაპი, რომლის სიტყ-

ცხოვრებით, მაგრამ მათ ვერ გაამართლეს კონგრეგაციის იმედი. თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი, 1995, გვ. 618.

45 თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 245-246.

46 იქვე, გვ. 246-247

47 იქვე გვ. 491-492.

ვას მნიშვნელობა ჰქონდა იმ ქვეყნების აღმოსავლურ პოლიტიკაში, რომელთაგან სამხედრო, პოლიტიკურ და ფინანსურ დახმარებაზე საქართველოში ოცნებობდნენ. ქართველთა ასეთი განწყობილება და მათი კათოლიკური რიტუალისა და ეკლესიის მოწყობისადმი ბუნებრივი ინტერესი, პატრებს თითქოსდა ქვეყნის ყველა საზოგადოებრივი ფენისა და თვით საეკლესიო პირების კათოლიციზმზე მოქცევის ილუზიას უქმნიდა. პატრების ასეთი სულისკვეთებითაა განმსჭვალული რომში გაგზავნილი რელაციები, რომლებშიც ხან გულწრფელი რწმენით, ხან კი თვალშისაცემი შეგნებული გაზვიადებით გაცხადებულია, თითქოს სულ მალე და ადვილად კათოლიციზმს აღიარებდა მეფე და მისი კარი, თავადაზნაურობა და მათი მსახურნი, გლეხები და მოქალაქენი. მაგრამ, როდესაც ამ იმედების გამართლება არ ხდებოდა, ზოგიერთი ცალკეული შემთხვევის გარდა, ისინი მიზეზს თავიანთ შეცდომებში ეძებდნენ, თითქოს თვითონ აკლებდნენ მცდელობას, რომიდან არ იყო ჯეროვანი დახმარება და სხვ.

მისიონერების მიერ რომში არასწორი ინფორმაციის გაგზავნა განპირობებული იყო რამდენიმე გარემოებით: 1) მისიონერებს უნდა გაემართლებინათ საქართველოში, რომიდან საკმაოდ შორს მდებარე ქვეყანაში, თავიანთი ხანგრძლივი ყოფნა და მიღწევათა გაზვიადებით ეჩვენებინათ გაწეული ხარჯების აზრიანობა; 2) საქართველოში წარმატებული საქმიანობა მათთვის, ზოგჯერ, კარიერის მაღალ საფეხურზე გადაადგილების საშუალება იყო; 3) სავარაუდოა, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფალთა ზეგავლენა მისიონერებზე. მათ თავიანთ წერილებსა და მოხსენებებში ისეთი სურათი უნდა დაეხატათ, რომელშიც მეფე, დიდებულები და მოსახლეობის ძირითადი მასა გამოყვანილი იქნებოდნენ კათოლიციზმისადმი კეთილგანწყობილად; 4) სამაგიეროდ, ქართველები პაპთან და რომის მაღალ სასულიერო პირებთან გაგზავნილ წერილებში მისიონერებს ყოველთვის დადებითად ახასიათებდნენ; 5) მისიონერთა საქმიანობისადმი მოსახლეობის ფართო მასა შემწყნარებლობას ამჟღავნებდა მანამდე, ვიდრე მართლმადიდებლობას რაიმე სერიოზული საფრთხე დაემუქრებოდა. თუ ეს მოხდებოდა, მაშინ კი სამეფო ხელისუფლება, მართლმადიდებლური ეკლესია და მოსახლეობა დაუყოვნებლივ ამჟღავნებდა თავის ნამდვილ დამოკიდებულებას უცხო კონფესიისადმი; 6) ძნელია იმ ქართველებზე საუბარი, რომელთა შესახებ მისიონერები რომში სწერდნენ, ვითომ მათ საიდუმლოდ აღიარეს კათოლიკობა. პაპების ეპისტოლეებს თუ ჩავუკვირდებით, არც მათ სჯეროდათ ასეთი ქართველების საიდუმლო „პროზელიტობა“.

* * *

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ჩნდება კითხვა: ვინ იყვნენ ის ასობით და ათასობით ადამიანი, რომელთა გაკათოლიკების შესახებ საქართველოში მოღვაწე მისიონერები სისტემატურად აცნობებდნენ თავიანთ უფროსებს რომში?[48] დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ XVIII საუკუნის დასასრულამდე მათ შორის, ვინც კათოლიკეებად გვევლინებიან საქართველოში (სრულიად განსხვავებული მდგომარეობა იყო ოსმალეთის მიერ მიტაცებულ სამცხე-საათაბაგოში, სადაც მრავალი კათოლიკე ქართველი იყო.[49] მათი პროზელიტობის საკითხი სრულიად სხვა განსჯის საგანია), ნაკლებად იყვნენ ქართველები (მასალებიდან არ ჩანს, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის „სომხები," რომლებიც ქართულ ენაზე მეტყველებდნენ და მათთვის აუცილებელი იყო ქართულ ენაზე მოქადაგე პატრები, ის ქართველები იყვნენ, რომლებმაც ერთ დროს გრიგორიანობა მიიღეს და ამის გამო „გასომხდნენ," შემდეგ კი კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადავიდნენ და „გაფრანგდნენ"). ეს უკანასკნელნი სამშობლოში დაბრუნდნენ უკვე კათოლიკური აღმსარებლობით. ხელისუფლება და ეკლესია მათ პროზელიტობას გაგებით ეკიდებოდა, ითვალისწინებდა იმ ვითარებას, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ სამშობლოსგან მოწყვეტილნი. მაგრამ, როგორც არაერთხელ აღინიშნა, უაღრესად მკაცრი იყო მათდამი დამოკიდებულება, მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა და იერარქიულ სფეხურზე ყოფნისა, რომელი მართლმადიდებელიც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენის სფეროში ამგვარად მოიქცეოდა.

საფიქრებელია, რომ კათოლიკეების ძირითად მასას შეადგენდა სხვადასხვა დროს საქართველოში შემოსული და, ზოგი კი აქვე გაკათოლიკებული სომეხი, რომლებსაც XIX საუკუნის დასაწყსიდან მასობრივად უერთდებოდნენ ოსმალეთის და ირანის იმპერიებიდან საქართველოში გადმოსახლებული იმავე აღმსარებლობის ქართველები და სომხები.

---

48 დაუჯერებელია, რომ ქრისტეფორე კასტელს გურია-სამეგრელოში 10 ათას კაცზე მეტი მოუნათლავს (თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 183), ჯოსეფო ჯუდიჩეს 330 (ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, გვ 109), 300-ზე მეტი ბავშვი მოუნათლავთ პატრებს გორში მხოლოდ 5 თვის განმავლობაში (თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 236) და სხვ

49 თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა *საქართველოში,* გვ. 410-480; თამარაშვილი მ., პასუხად სომხის მწერლებს;ლომსაძე შ., გვიან შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან (ახალციხური ქრონიკები), თბ., 1979; გურგენიძე ვ., კათოლიკობა საქართველოში // ჟურნ. „კრიტიკა," 1990; პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობაVI-XX სს., თბ., 1995, გვ. 281-299.

XVII-XVIII საუკუნეებში გამოკვეთილად გამოჩნდა ქართველი მეფე-მთავრებისა და საქართველოს ეკლესიის ნამდვილი დამოკიდებულება რომის ეკლესისადმი, ხელისუფლებისა და პოლიტიკოსების ორმაგი სტანდარტი – კათოლიკობის მომხრეობა კათოლიკურ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობისას, კათოლიკეების დევნა-შევიწროება შიგნით. ამ საკითხზე საუბარი იქნება სხვა დროს.